№ 227. 28 ოკტომბერი, სამშაბათი. 1866—1880 28 ოკტომბერი, სამშაბათი. № 227.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

ერევნის მოედანზე, შ-ეასაზღვრის თავში მარცხნივ თ. ლ-უარ. ბ-ეუთიანსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროების“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე კანტორებისთვის: Въ Тифлисъ, въ ре[дакціи] „Дроэба“ и „Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოთ. წვრილით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არწრუნის თეატრში

### ოთხშაბათს, 26 ოქტომბერს

ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება

I

**ქმარი ხუთის ცოლისა**

კომედია ორს მოქ. ანტონოვისა.

II

**გუტიაობა**

ვოდევილი ერთ მოქ. აკ. წერეთლისა.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და აზნაურთავის თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.

## ტელეგრამმები

(სააგენტოს მორის საგენტოსი)

**პეტერბურღი**, 25 ოკტომბ. დღეს აქ მოვიდნენ მინისტრი საბუროვი და საფრანგეთის ელჩი შანზი.

**ლონდონი**, 25 ოქტ. სრუტის ესკადრას უბრძანეს ირლანდიის ნაპირებისკენ წავიდეს სამშაბათს. ირლანდიის „სამიწაწყლო ლიგამ“ გამოსცა ხალხისადმი მიმართვა, რომლითაც მოიწვევს შემოსაწირავად „მოგერებითი თანხის“ დაფუძნებისთვის.

**თეირანი**, 24 ოქტ. აბდულ-კადერმა თავი დაანება ქურთებს.

**ფილიპოპოლი**, 25 ოქტ. დღეს გამოაცხადეს აქ სასამართლოს განაჩენი სკობელევას ცოლის მკვლელობის საქმეზე: ორს ჩერნოგორიელს სიკვდილით დასჯა გადუწყვიტეს, ერთს მაკედონელს თორმეტი წლის კატორღა, უზატისის ძმას 16 წლის საპყრობილე.

**პეტერბურღი**, 25 ოქტ. ცნობა მმართებლობისაგან: 23 ოქტომბერს გრაფ ლორის-მელიქოვს, კოხანოვს და გალუევს წინასწარი სჯა ჰქონდათ ბეჭვდის კანონების გადასხედვის თაობაზე; შემდეგი სხდომა მომავალ კვირაში იქნება, რომელსაც დაესწრება განსაკუთრებითი რჩევის ყველა წევრები.

ქალაქის რჩევამ გამოიღო 300,000 მან. პურის საყიდლად.

„პ ე რ ე გ ი“ ასახელებს პოლიტიკურ პროცესსის ბრალდებულთ, რომელთ საქმე დღეს განიხილება: 1) აზნ. ალექსანდრე კვიატკოვსკი, 2) ვლადიმერ დრიგო, 3) ნიკოლოზ ბუხ, 4) ბუცინი, 5) ოკლადსკი, 6) ზუბკოვსკი, 7) შირიაევ, 8) ტიხინოვი, 9) მარტინოვსკი, 10) კობილიანსკი, 11) ზუნდელევიჩ, 12) ცუკერმანი, 13) პრისნიაკოვი, 14) ევგენია ფიგნერ, 15) გლეხის ქალი გრიაზნოვა და 16) სოფიო ივანოვისა.

**რაგუზა**, 24 ოკტ. დერვიშ-ფაშა სამის ტაბორით მოვიდა მედუაში და მოლაპარაკება აქვს ალბანიის კავშირის წინამძღოლებთან, ურჩევს მათ ხონთქარს დაემორჩილონ; ალბანიელებს იმედი აქვთ, რომ დერვიშ-ფაშა დულცინიოს დათმობის წინააღმდეგი იქნება, რადგანაც ის მტერია ჩერნოგორიელებისა.

**პარიჟი**, 24 ოკტ. კონგრეგაციონალების განძევებას ლიონდონიდამ და ნანტიდამ ზედ-მოყვა ამბოხება, რომლის დროსაც მოკვდა ერთი კაცი.

პრჟევალსკი ურგიდამ ტელეგრამმებით იწერება 20 ოქტომბერს: „გაფაფხულში და ზაფხულში გამოვიკვლიე ზემო ხუთ-ხეის და კუკუნორის ტბის ბასსეინის ნაწილი. გადავედი ალშანზე, შუათანა გობზე ურგაში; მოგზაურობა გათავდა; სულ 7,200 ვერსი გავიარე; დიდ-ძალი სამეცნიერო მასალები მოვიპოვე.

## ერთი განკარგულება სინოდისა

ტფილისი, 27 ოქტომბერს.

ქვემოთ, ახალ ამბებში, სხვათა შორის წაიკითხავთ უწმინდესის სინოდის ახალ გარდაწყვეტილებას, რომლის ძალითაც ჩვენის მხრის სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველთა ამორჩევის უფლება დღეის შემდეგ უნდა წაერთვას სამღვდელოებას და ეს უფლება უნდა მიენიჭოს საქართველოს ექზარხოსს.

უწმ. სინოდს ეს თავის . . . . . გარდაწყვეტილება ხელმწიფე იმპერატორისათვის წარუდგენია დასამტკიცებლად და ხელ-მოსაწერად.

რამ გამოიწვია ამისთანა განკარგულება მარტო ჩვენის მხრისათვის? თუ მთელს რუსეთში შემოღებულია და კანონად არის დაფუძნებული, რომ თვითონ სამღვდელოებამ აირჩიოს კენჭით თავის სასწავლებლებისათვის ზედამხედველები, რატომ მარტო ჩვენ უნდა ვიყვნეთ ამ საზოგადო კანონისაგან გამორიცხულნი? რა დააშავა ისეთი საქართველოს სამღვდელოებამ, რომ ერთ უწარჩინებულესს უფლებასართმევენ?

ყველა ამ კითხვების ახსნა და გაგება ადვილია, თუ წარმოვიდგენთ ამ უკანასკნელ დროს მომხდარ კენჭისყრას ზედამხედველობის თაობაზედ თფილისის სასულიერო სასწავლებელში. ამ სასწავლებელში ზედამხედველობის თანამდებობისათვის ორი ქართველი კანდიდატი გამოჩნდა და ორიც თუ სამი რუსი. სამღვდელოებამ ქართველ კანდიდატებს მისცა უპირატესობა და ერთი იმათგანი ხმის უმეტე-

---

«დროების» ფელტონი, 28 ოკტომ.

## გამოთხოვება

უშრეტ-ცეცხლის აღმგზნებელო გულში და მწველო<br>
ჩემის ცხოვრების ტკბილო საგანო და სანუგეშო!<br>
როდემდის უნდა მაგრე გჭვრიტო, შენ შეუცვლელო,<br>
რომ ჩემზედ გული არ მოგიბრუნდეს და მით ვიხვეშო?

—

ხომ კარგათ ჰხედავ, ტრფობის ჯაჭვით გული დამება<br>
და თავ-შეწირვა უფიქრალი არს ჩემთვის ტკბილი?<br>
და მაშ შენცა, ჩემო მფლობო, ჩემო ღვთაება,<br>
მომმადლე ხოლმე შენს შემვედრეს მცირე ღიმილი,

—

ის...ის ღიმილი, რომელიცა მაგ სახეს მეტყველს<br>
გამოუთქმელის სილამაზით უფრო აშვენებს,<br>
და მე კი მიდებს საწყალს გულში ძლიერს ცეცხლს დამწველს<br>
და მღელვარესა, გულის ძგერით აღარ მასვენებს!!

—

თუმცა კი ვსცდილობ, რომ ის გრძნობა სხვას დავუფარო;<br>
ხუმრობით სიტყვებს ბანზედ ვაგდებ, მადევს პირ-ბადე,<br>
მაგრამ გულში კი არ შემიძლია, არ აღვიარო:<br>
„მე ბედ-გამწყრალი უნუგეშოდ რად დავიბადე?“

—

რათ მინდა გრძნობა, თუ არავის გაეუზიარებ?<br>
რათ მინდა ცოდნა, თუ მევობარს არ მივეც რჩევა?<br>
რათ მსურს სიცოცხლე, თუ სიმწარედ მას აღვიარებ?<br>
მაშინ დამრჩება მე ამ სოფლად კრულვა და წყევა!..

—

ოდეს გიხილე, ვიგრძენი, თუ მყის დავიბადე!<br>
ჩვეულებრივად გულმა გრძნობა ველარ დაჰფარა,<br>
მით ამეხადა უნებურათ ჩემი პირ-ბადე—<br>
და თვის ღვთაებად შენ დაგნიშნა, შენ აღგიარა!

—

მაგრამ, ვაიმე! არ მიმიღე მსხვერპლის მწირველად,<br>
არ შეიწირე მრისხანემან საბრალოს „წვლილი“!..<br>
მის გამო დავშთი ასე შმაგად და ასე ხელად,<br>
ასე საბრალოდ და უდროოდ მე გულ-მოკლული!..

—

აწ-კი მშვიდობით, ჩემო ავო და ჩემო კარგო!..<br>
გშორდები, მაგრამ შენთან რჩება საბრალო გული!!.<br>
უმჯობესია ამ სოფლიდგან გარდავიკარგო<br>
და იქ დავლიო შენს ხსოვნაში საბრალო სული!!.

აკაკი.

1871 წ.

## საფრანგეთის თეატრები

წერილები პარიჟიდამ

IV

ამ კვირაში აქ, 20 ოქტომბრიდგან დაწყებული, „*Comédie Française*“-ის თეატრში დღესასწაულობენ თავის 200 წლის არსებობის დღეს.

1680 წელს მოლლიერმა პირველად გახსნა ეს თეატრი და დაიწყო შიგ წარმოდგენა თავის დრამულ თხზულებებისა.

20 ოქტომბერს წარმოადგინეს „მიზანტროპი“—5 მოქმედებიანი კომედია და „ექსპრომტი“ 1 მოქმედებიანი ორივე მოლლიერის თხზულება.

„მიზანტროპში“ გამოყვანილია მაშინდელი პარიჟის მაღალი საზოგადოება, არისტოკრატების ცხოვრება, მათი ხასიათები და მოქმედება. რასაკვირველია, მოლლიერი თავისებურად ტუქსავს ამ საზოგადოების ცუდს ხასიათებს—მიზანტროპის პირით. ეს სუკანასკნელი პირველის მოქმედებიდამ ბოლომდის ცდილობს შეაგონოს იმათ რამ, უქადაგებს, მაგრამ ვერას ახრხებს.

ყველა ამას დაერთვის სიყვარული იმისთანა ქალისა, რომელსაც ყველა წმინდა გრძნობები ფეხებზე ჰკიდია, რომელიც ჩაცმა-დახურვაში, ენის ლაქლაქში, პრანჭიობაში ატარებს დროებას. მიზანტროპი გულზე გახეთქილი, დაქანცული წი-

სობით აირჩია თავის სასწავლებლის ზედამხედველად; რუსები კი გააშავეს.

. . . . . . . . მინც მხოლოთ საზოგადო საქმის სარგებლობისათვის ზრუნავს და არა კერძოთ თავისთვის, —ყველა ადვილად გაიგებს, რომ ამ გარემოებაში გასაკვირველი და შეურაცხმყოფელი არავისთვის არა არის-რა. მართლაც, ქართველ მღვდლებმა, თავის შვილების ზედამხედველად, ამ შვილებისა, რომელთგანაც მომავალში ქართველი ხალხის მქადაგებელნი და მოძღვარნი უნდა გამოვიდნენ, რომელთაც მუდამ საქართველოში და ქართველ ხალხში უნდა იცხოვრონ, ამ გვარ სასწავლებლის ზედამხედველად, ვამბობთ, მღვდლებმა ქართველი ამოირჩიეს და არა ისეთი რუსი, რომელმანაც არც ენა იცის ჩვენი, არც ხასიათი, არც სამღვთო წერილი და არც სხვა რამ.

მაგრამ აღმოჩნდნენ ზოგიერთი . . . . . . . . . . პირები, რომელთაც ეს გარემოება სრულიად სხვა გვარად ახსნეს, სულ სხვა, გარეშე მიზეზებს მიაწერეს და გაზეთებშიაც კი გამოაცხადეს, რომ აქ „ნაციონალური ანტაგონიზმი“ არის ყველაფრის მიზეზი, ქართველები განზე გვიყურებენ რუსებსო, არ უნდათ, რომ ჩვენ რაიმე თანამდებობა მოგვცენ, თავის წრეში მიგვიღონო და სხვ. და სხვ

მაგრამ ამ აზრებს, ამ საძაგელ ცილის-წამებასა და დაბეზღებას ყოველი მნიშვნელობა და ფასი ეკარგება, როდესაც მოგახსენებთ, რომ ამის მთქმელნი და დამწერნი იყვნენ და არიან თვითონ ისეთი პირნი, რომელნიც სამღვდელოებამ გააშავა, რომელთაც, მაშასადამე, ცრუ თავმოყვარეობა და პიროვნული უსიამოვნება ამოქმედებდა და არა საზოგადო სარგებლობისა და სიკეთის წადილი.

აი ამ უბრალო გარემოებამ გამოიწვია, უეჭველად, ის განკარგულება უწმ. სინოდისა, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. ჩვენ არ გვგონია, რომ უმაღლესმა მთავრობამ მიიღოს და დაამტკიცოს ეს განკარგულება სინოდისა, რომელიც წინააღმდეგი იქნება მთელის რუსეთისათვის დადგენილის და შემოღებულის კანონ-მდებლობისა. არ გვგონია, რომ დაამტკიცონ იმიტომ, რომ არავითარი შესაწყნარებელი საფუძველი არ ექმნებათ ჩამოართვან ჩვენს სამღვდელოებას ის უფლება, რომელიც უზენაესად აქვს მინიჭებული, ის უფლება, რომელიც იმას არასოდეს ბოროტად არ მოუხმარია, რომლითაც ის მუდამ კანონის თანახმად სარგებლობდა.

ამაზე კიდევ ბევრი რამა გვაქვს სათქმელი შემდეგისათვის...

## ახალი ამბები

—

ერთი ვინმე, კარგათ მცოდნე სასულიერო საქმეებისა, შემდეგ გასაკვირველ ახალ ამბებს გვაცნობებს:

„ორიოდე დღეა, რაც თფილისში მოვიდა უწმინდესის სინოდის განკარგულება, რომლის ძალითაც სამღვდელოთა ყრილობას ჩამოერთმევა უფლება სასულიერო სასწავლებლებისათვის ზედამხედველის ამორჩევისა და სასწავლებლების გამგეობის (პრავლენიეს) ზედამხედველის თანაშემწის და მასწავლებლების ამორჩევისა. ეს უფლება დღეის შემდეგ მინიჭებული ექმნება ჩვენში საქართველოს არქიელს. არქიელი ამწესებს და ითხოვს, როდესაც ჰსურს, ზედამხედველს და ყოველს მასწავლებელს.

„მაგრამ, ამბობენ, რომ ესრეთი გარდაწყვეტილება სინოდისა წარდგენილია ხელმწიფის განსახილველად და დასამტკიცებლად.

„ამავე ქაღალდებთან მოვიდა რუსეთიდგან საქმე ბ. ბაფრინდაშვილისა, რომელიც თფილისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობამ ივნისში ამოარჩია თანაშემწის თანამდებობაზე ამავე სასწავლებელში. ბაფრინდაშვილი არ დაუმტკიცებიათ. რუსეთიდგან გამოიგზავნება ვილაც სხვა მის მაგიერი.

„რატომ არ დაამტკიცეს ბაფრინდაშვილი, რა მოგახსენოთ. წესდების ძალით, ის უნდა დაემტკიცებინა ადგილობრივ არქიელს; მაგრამ იმან ინება, ამ საქმის სინოდში გადატანა.

„ერთიც კიდევ ახალი ამბავი სასულიერო წოდებაში:

„ახალი შესრულებულმა აკადემიის კანდიდატმა ილურიძემ, რომლის ზედამხედველად დანიშნეა ოზურგეთის სას. სასწავლებლისათვის გურიის სამღვდელოებამ ორჯელ ითხოვა, თვითონაც ორჯერ ითხოვა, რომ, თუ ოზურგეთში მე მამწესებთ, თბილისის სასწავლებელში გამამწესეთ თავისუფალს კათედრაზეო. მაგრამ არც პირველი და არც მეორე თხოვნა შეწყნარებულ არ იქნა. ილურიძე დანიშნეს მასწავლებლად ეკატერინოდარის სასწავლებელში.

„გარდა ამ ცხელ-ცხელ ამბებისა კიდევ შემოგვესმა, რომ მის ყოვლად უსამღვდელოესს იოანნიკეს უნებებია წმიდა ნინოს ეკლესიის (სიღნაღის მაზრაში) მოძღვრად რუსეთიდგან სამღვდელო პირების გამოწერა...“

* * *

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი ანგარიში.

თეატრის მოყვარეთაგან [illegible] ლის წარმოდგენისა (24 ოქტომბერს 1880 წ.) კოტე მესხის სასარგებლოდ.

| | | |
|---|---|---|
| შემოსავალი: გასყიდულის ბილეთებისა — — — — — | 423 მ. 90 კ. | |
| ხურდა დატოვებულა კასაში ერთის პირისაგან | 2 — | |
| აფიშებისა — — — — | „ 50 | |
| ჯამი | 426 მ. 40 კ. | |
| ხარჯი: თეატრის ქირა (არწრუნის კანტორას) — — — | 50 მ. „ | |
| პიანინოს ქირა (იმავე კანტორას.) — — — — | 6 — „ | |
| აფიშების დამკვრელს (იმავე კანტორას) — — | 3 — „ | |
| ყვავილის კონა (იმავე კანტორას) — — — — | „ — 50 | |
| აკომპანიმენტის დამკვრელებს (ორს) — — | 12 — „ | |
| თეატრის მოსამსახურებს | 5 — „ | |
| საზანდარს დამქაშებით — | 20 — „ | |
| პარიკმახერს — — — — | 8 — „ | |
| კოსტუმების ქირა — — | 9 — „ | |
| ბილეთების გასაყიდი აზნაუროვის მაღაზიაში — | 2 — „ | |
| აფიშების ქაღალდი და ბეჭდვა მელიქოვის სტამ. | 7 — „ | |
| ჯამი | 122 — 50 | |

ნაღდი ფული დარჩა 303 მან. 90 კ.

## წერილი რედაქტორთან

—

ბატონო რედაქტორო, კვირის ნომერში საყვედურს უცხადებთ ქართულ თეატრულ ამხანაგობას, რატომ „ადვოკატები“ რაფ. ერისთვის კომედია მარშან წარმოსადგენათ დაიწუნეთო. რადგან უმთავრესი მიზეზი ამ დაწუნებისა მე გახლდით, ამიტომაც ვალათ ვრაცხ პასუხი გავცეთ.

წინააღმდეგობით, თითქმის შერცხვენილი ამ პრანჭია დედა-კაცისაგან — ბოლოს წამოიძახებს:

— მშვიდობით იყავით, იცხოვრეთ როგორც გერჩიოსთ, მე კი წავალ, მოვძებნი იმისთანა ალაგს, სადაც მეტი თავისუფლება არის და ნაკლები სულის სიმდაბლე! — და განშორდა კიდეც. კომედია თავდება ამით.

ვფიქრობ, რომ ამ პიესიდამ არ მოეპაროს რამოდენიმე აზრი და სცენური მდგომარეობა გრიბოედოვს თავის „ვაი ჭკუისაგან“-ისთვის: ჩაცკის მდგომარეობა 1830 წლის მოსკოვის საზოგადოებაში თითქმის ისეთივე გამოდის, როგორც მიზანტროპის 1675 წლის პარიჟის საზოგადოებაში.

მიზანტროპს თამაშობდა დელონე.

აქაურ დრამმულ არტისტებს ბევრს ნაკლულევანებას შევნიშნავს და ხშირად უცნო ეჩვენება ჩვენებურ კაცს რომელიც შეჩვეულია რუსულ და ქართულ არტისტების ცქერას. თავდაპირველად სიმღერა ლაპარაკში, ესე იგი გაპრტყელებით, თითქმის გალობით ლაპარაკი და მომეტებული ხელების ტრიალი. როდესაც დრამმის წარმოდგენაზე დაესწრები, ასე გგონია, არტისტები კი არ ლაპარაკობენ, მღერიანო. ეს ძველებური მეთოდაა თამაშისა, დეკლამაციური, და თუ ყველა აქტიორებმა დეკლამაციით დაიწყეს ლაპარაკი სცენაზე, ამაზე უსიამოვნესი ყურისთვის არა იქნება-რა! ამას გარდა ამ გვარათ ლაპარაკი ხელოვნების წინააღმდეგიც არის და ცხოვრებასთან შეუმგზავსებელიც: რადგან თეატრი კაცობრიობის ცხოვრების სურათებს წარმოგვიდგენს, თეატრში მოთამაშემ ისრე უნდა მოიქცეს და ილაპარაკოს, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში მოქმედობენ და ლაპარაკობენ; თორემ, თუ გამოიგონა სხვა კილო ლაპარაკისა და დაიწყო სცენიდგან ღრიალი, რასაკვირველია, ნამდვილს ვერაფერს წარმოგვიდგენს.

მაგრამ ყოველი საქმე, ყოველი ხელოვნება, რაც უნდა უმდაბლესი ხარისხის იყოს, შეუძლიან ნიჭიერ კაცს აამაღლოს, გაამშვენიეროს და სასიამოვნოდ გახადოს. ასეა დეკლამაციის საქმეც: ყოფილან იმისთანა დეკლამაციით მოთამაშეები, რომ იმათ საცქერლად ხალხი ისე ესოდა თეატრს, როგორც ჭიანჭველა შაქარს.

დელონეც ამისთანა მოთამაშეების რიცხვში უნდა ჩაითვალოს. ისე დახელოვნებულა ამ გვარათ ლაპარაკში, რომ ერთს სიტყვას არ წარმოსთქვამს მკვახეთ, ტონს, არ შეუშლის; მანერები, ყველაფერი უცხოდ შეზავებული და თავის ალაგზე. ამასთან ტკბილი და გულის დამატკობობელი ხმის პატრონი.

მეორე პიესაში მოლიერს თავის ჰყავს გამოყვანილი და ყველა თისს დროინდელები აქტიორები.

მეფე უბრძანებს მოლიერს, წარმოდგენა გამართეო. მოლიერს მზათ არა აქვს-რა. რაღა ქნას? — შეუყრის თავს ყველა მოთამაშეებს და ერთს ფაცა-ფუცში აუხსნის როგორ უნდა მოიქცნენ.

ერთს აქტრისას ეუბნება — თავი ასე გააქნიე, ეს სიტყვები სთქვი — ხელი ამ ნაირად გააკეთე, — და ნახევარი საათის განმავლობაში ისე გაწვრთნის თავის აქტიორებს. რომ მზათ არიან წარმოდგენისათვის. თვითონ მოლიერს თამაშობდა კოკლენა. სახე გაეკეთებინა სწორეთ მოლიერის პორტრეთიდამ; უნდა გენახათ, სულ ცეცხლი მოუკიდა სცენაზე ისე დატრიალდა: არ-იქა, შენ ასე უნდა მოიქცე და შენ აქეთ, — ეუბნებოდა გარშემოხვეულ აქტიორებს მოლიერი — კოკლენი. ათი ხმა მაინც გამოიცვალა და ათიოეჯერ სხვა და სხვა მანერებით ამ აქტიორმა გასწვრთნა მოთამაშეები. გასაოცრად თამაშობდა და ხალხმაც, რასაკვირველია, დაასაჩუქრა უანგარიშო ტაშისკვრით.

გაზეთებში სწერენ, რომ ორ თვეს სწავლობდა ამ როლს კოკლენიო. წარმოდგენის შემდეგ ერთხელ კიდევ ახადეს ფარდა და გამოჩნდა მოლიერის მიუსტი (პატარა ძეგლი) გვირგვინებით შემკული, შუაში და იქით-აქეთ კორნელის და რასინის ბიუსტები; ორ მწკრივათ ყველა ამ თეატრის მოთამაშეები და შუაზე ყველაზე მოხუცი, ყველაზე დამსახურებული არტისტი გო, რომელმაც წაიკითხა კომპესს ლექსში „მოლიერის სახლი“ საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის დაწერილი.

კოტე მესხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი კაცი, რომელიც აღტაცებაში მოვიდა ამ პიესისაგან,—მე გახლდით. პატივცემულ ავტორის ხელოვნურ კითხვამ მაფიქრებინა, რომ ეს პიესა—ნამდვილი სასცენო კომედიაა. ხელ-მეორედ რომ ყურადღებით გადავიკითხე, დავრწმუნდი, რომ პირველი ჩემი აზრი შეცდომა იყო და „ადვოკატები“ — გრძელი ვოდევილური სცენებია. ავტორს ნება ვთხოვე, რომ ზოგიერთი სცენა წარმოდგენილიყო, ავტორმა ნება არ მომცა და პიესა დარჩა წარმოუდგენელი.

შარშან ჩემ რეჟისსიორობის დროს ვცდილობდით; რომ თეატრი უბრალო დროს გასატარებელი, სასაცილო, სალაზღანდარო არ ყოფილიყო, ვცდილობდი, რომ პუბლიკა მოსული თეატრში დაეფიქრებინა, აღელვებინა, აებაასებინა წარმოდგენილ პიესას. ამის გამო ვცდილობდი, რეპერტუარი ამევსო კომედიებით (მაგალითად „შემოსავლიანი ადგილი“, „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ და სხვ.), პატივისცემის ღირს—აზროვან მელოდრამებით (მაგ. „პეპო“, „რაც გინახამს ვეღარ ნახავ“ და სხვ.) და ინტრიგის ვოდევილებით (ე. ი. პიესები, სადაც იყო ის რაღაც, რუსები ეძახიან **завязка** და **развязка**, პიესები რომლებიც მაყურებლებს ჩვეულებრივ ბევრს აბაასებენ ერთმანეთში „რითი გათავდება პიესა,“ „ვინ უფრო ხერხიანა წაიყვანად საქმე,“ „ვინ იქნება გამარჯვებული და ვინ დამარცხებული“, ამგვარ თხზულებათ მიგვაჩნია მაგ. „ადვოკატი-მელაძე,“ „ქინტო“, „მისანი“ „თილისმის ხანი“ და სხვ.) პატარა ვოდევილები და ვოდევილური სცენები, სადაც ოსტატურად მოყვანილი ინტრიგა არ იყო, და მარილიანობა, მხოლოდ კალამბურებში, ბაზასხანურ გინებაში და ენის მტრევაში გამოიხატებოდა, წარმოსდგებოდნენ ხოლმე სპექტაკლის ბოლოს მხოლოდ სხვათა შორის. ამგვარ პიესებს, გაჭიანურებულებს რამდენიმე მოქმედებად, ჩემ დროინდელ რეპერტუარში ადგილი არა ჰქონდათ. თ. რ. ერისთვის ხსენებული „კომედია“ მე ჩავთვალე „გრძელ ვოდევილურს სცენებათ“. რათა? ამის პასუხს დაწვრილებით მოგახსენებთ, როცა „ადვოკატები“ მეორედ წარმოსდგება, (თუ ავტორს არ შეუცვლია). პირველ წარმოდგენაზე მე ვერ დავესწარ და თითონ პიესაც შარშანდელ წაკითხვით მთლად არ მახსოვს.

გ. თუმანიშვილი.

26 ოკტომბერს.

---

### ბატონ პოლკოვნიკს ივანე ეფიმოვსკის

„სადამ სადაო წმინდა საბაო?“

ამას წინეთ „დროებაში“ იყო დაბეჭდილი ერთი ვილაცა გლეხის საჩივრის პირი ბატ. ეფიმოვსკიზე, რომელიც ამ გლეხს ქუთაისის ღუბერნატორისათვის მიურთმევია. ამ საჩივარში დაწვრილებით იყო მოყვანილი ყველა ის გაჭირვება, რომელიც შორაპნის მაზრის გლეხებს ადგია ამ ბატონის წყალობით.

ბ. ეფიმოვსკის უმტკიცებდნენ, რომ ის მმართველად დაუდგა ვახტერის სავაჭრო სახლს, რომელზედაც კანონით არ აქვს უფლება; იყო მოყვანილი, რომ ის თანამდებობას ვეღარ ასრულებს რიგიანად, რადგან მოურაობას უნდებაო; იყო მოყვანილი, რომ ბრალიანს და უბრალოს ღრანჭებს ამტვრევსო; რომ იასაულები ქვა-გუნდის საქმეზე დარბიან აქეთ-იქითო და თავის მოვალეობას კი არ დაეძებენო. რამდენი ამისთანა უკანონო მოქმედება იყო მოყვანილი, როგორც იმ საჩივარში, ეგრეთვე სხვა-და-სხვა კორრესპონდენციებში შორაპნიდამ.

„დროების“ კორრესპონდენციები და ის საჩივრის პირიც, რომელიც ამ ახლო ხანში „დროებაში“ იყო დაბეჭდილი ათ ჯერ გადაუთარგმნეს ეფიმოვსკის. ის მოემზადა პასუხის დასაწერად და თავის ვასამართლებლად. გუშინ წავიკითხეთ „კავკაზში“ მისგან გაგზავნილი და დაბეჭდილი წერილი. ღმერთს გეფიცებით, ამ წერილის წაკითხვაზე ქათმებსაც მოუვიდოდათ სიცილი. ნაცვლად თავის გამართლებისა იმას მოუყვანია სტატისტიკური ცნობები—თუ რამდენი გაიტანეს შავი-ქვა, რამდენი დახარჯა ბარონმა მერცენფელდმა შავ-ქვაზე, რამდენი გავიტანეთ ჩვენ და რამდენი ქირა მიეცა გლეხებს ჩვენგან. ამასთან ამბობს, რომ საბოლოოვოთ ჩვენ ცუდათ დაგვირჩება საქმე. ამასთანავე მთავრობას ურჩევს, რომ ყვირილის გზის გასაკეთებლად ჩვენც უნდა გადავიხადოთ ფულები. მეტი არაფერი! მოდი და ნუ გაგეცინება!..

ეს არის თავის გამართლება? ეს არის პასუხი? მმართებლობამ რომ ფულები გარდაგვახდევინოს გზის გასაკეთებლად ეს ჰსურს ბატ. ეფიმოვსკის? თვითონ ამბობს წერილში, რომ გლეხებს უფულოთ ვამუშავებთო. მართლაც, გლეხები თავის დამტვრეული თოხებით მუშაობენ და რაღათ უნდა ჩვენი ფული! ჯერ ერთი ანგარიში დაგვანახოს რაში დახარჯეს 7,000 მან. რამდენი შვიდი ათასი მანეთი დახარჯულა ყვირილის გზაზე, მაგრამ ჩვენ სრულებით არ ვიცით რაში დახარჯეს. ჩვენ ვიცით, რომ გლეხები ასე მუქთად მუშაობდნენ ყოველთვის... ის გზა, რომელზედაც ამდენი ფული დაიღუპა და ხალხის შრომა, ხომ რჩება ახლა და სხვა გზას ადგიან? ჩემთვის და სხვისთვისაც ის გზა საკმაოა, რომელიც გაკეთებულია და სხვა გზას ჩვენ არ ვსაჭიროებთ და ვისაც სხვა გზა უნდა, იმან თავისი ხარჯით უნდა გაიყვანოს და არა საზოგადოების ოფლით და ხაზინის ფულით..

ჩვენ ქვა-გუნდა მოგვაქვს ყვირილაში ულევის გზით და არა ყვირილის გზით, ბარონმა რომ მოურავებს 6,000 მანეთობით ფულები აძლიოს და სხვებთანაც ჰფანტოს, ამითი გლეხებს სრულებით არაფერი შეეძინება.

აქ კიდევ სხვა ხრიკები გახლავსთ, რომელიც ბოლოს აღმოჩნდება.

თქვენ ამბობთ, ბატონო ეფიმოვსკი, რომ ბარონს ჯერ არაფერი დაუწყიაო და თუ ეს მართალია და ჩვენც ვამოწმებთ, რაღაში დახარჯა ამდენი ათასი მანეთები ვახტერისა? მოითმინეთ და ყველაფერი მალე გამოჩნდება...

ძლიერ გაკვირვებული ვიყავით, როდესაც შევიტყვეთ თქვენი სეკრეტრისგან 6,000 მ. სახელმწიფო ფულების შეკრება, მაგრამ ეხლა აღარაფერი გვიკვირს. ბავიგეთ, რომ ყოველი კაცი თავის ჯიბისთვის ცდილობს. ჩვენ რომ ჩვენს სარგებლობაზე ვცდილობდეთ, რომელთაც არავითარი ჯამაგირი გვეძლევა. არაფერია; მაგრამ თქვენი რიგი კი არ არის—მრთელი უეზდი გებაროსთ მოსავლელად და ვილაცა სავაჭრო სახლის მოურავათ დადგეთ...

მოსეშვილი.

---

## უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** *Neue Freie Presse*-ს აცნობებენ რომ შვიდი ალბანიელი ფაშები ქ. დიბრში შეკრებილან და განუზრახავთ ალბანიის დამოუკიდებელ სამთავროდ გამოცხადება ოსმალეთის მფარველობის ქვეშ.

—

ქურთების აჯანყების თაობაზე სპარსეთის მონეობისაგან განთავისუფლებისათვის, შემდეგ ამბავს ვჰკითხულობთ „*Daily News*“-ში: აჯანყებულთ მხედრობის რიცხვი 15,000-მდეა. ეს ჯარი სამ დივიზიად განიყოფება; ორი მათგანი აღმოსავლეთით არის დაბანაკებული და ერთი ურმის-ტბის დასავლეთით. მართალია იმათ არტილლერია არა აქვთ, მაგრამ მათ ხელშია ბევრი თოფი მარტინის სისტემისა. პირველი დივიზია ოც-დაათს მილზე მიუახლოვდა თავრიზს.

სპარსეთის ჯარებიც სამ დივიზიად არის დაყოფილი, გაუწვრთნელ ცხენოსან ჯარის გარდა. პირველი, უარტილლერიო დივიზია 2,500 კაციანი მაკოდამ ურმისკენ გამოდის. მეორე 3,000 კაციანი იქვსი ზარბაზნით თავრიზს და მარაგას შორის იმყოფება. მესამე 3,500 კაციანი თორმეტი ზარბაზნით, გამოვიდა თეირანიდამ და ეხლა ზენჯანის მახლობლად იმყოფება. თავრიზი საშიშს მდგომარეობაშია. მცხოვრებლები ბარრიკადებს აშენებენ.

—

ამ აჯანყების თაობაზე სპარსეთის თბილისელ დესპანს ქვემო დაბეჭდილი ტელლეგრამმა მოსვლია თავის მმართებლობისაგან (იხ. „კავკაზი“ № 286) 20 ოქტომბერს გამოგზავნილი თავრიზიდამ:

„თავრიზში მოსვლისთანავე სამხედრო მინისტრი ყოვლის ღონისძიებით შეუდგა ადერბეიჯანში წესიერების დაცვას. ის აძლევს აქ მოსრულ ჯარებს ნუზლს და სამხედრო სამზადისს და აგზავნის მათ ბრძოლის ველზედ. მინისტრის წყალობით აქ სრული მშვიდობიანობაა; ხორაგეულობის ფასმაც კი დაიწია. იმედია, რომ ქურთები მალე დამშვიდებულნი და განდევნილნი იქნებიან ადერბეიჯანის სამზღვრებიდამ.

ბრძოლის ველიდამ დღეს მიღებულ ამბიდამ ვტყობულობთ, რომ სპარსეთის ჯარს 14 ოქტომბერს საშინლად დაუმარცხებია ქურთები, რომელთაც გამაგრებული ადგილი დაჰკარგეს და 2,000 კაცი მოუკვდათ.“

---

## ნარევი

—

**ცოფის მორჩენა.** ვინ იცის რამდენი მსხვერპლი შეუწირავს გახელებული მხეცის ანუ პირუტყვის კბენას, რომლითაც მათი გესლი ადამიანის სისხლს ერთვის და ამით დაკბენილი კაცი მოკლეს ხანში ცოფდება. საექიმო მეცნიერებას ჯერ არ აღმოუჩენია ამ საზარელი ავათ-მყოფობის ნამდვილი მოსარჩენი წამალი. ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ ბატ. ზარუდნის წერილს ამ ავათ-მყოფობაზე, რომელიც წავიკითხეთ რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. ყველას თუ არა, ეჭვი არ არის, როგორც ამ წერილში მოხსენებულ მაგალითებიდამ სჩანს, ქვემო მოხსენებული წამალი ზოგიერთთათვის მაინც ნამდვილს წამლობას იზამს. აი ეს წერილი:

„ერთხელ მამა ჩემი დაკბინა ცოფიანმა ძაღლმა; ყოველივე წამალი ექიმებისა ამაოც იყო; ბოლოს იმათ გვირჩიეს, რომ ძარღვები გაგვეხსნა ავათმყოფისათვის აუზში და ამნაირად გადაარჩინა იგი ტანჯვით სიკვდილისაგან. ჩვენ, რასაკვირველია, არ დავთანხმდით, და მივმართეთ ადგილობრივ მკითხავს (მარჩიელს), რომელიც ამ ავათ-მყოფობის უებარი ექიმი გამოდგა.

იმან ჯერ ნახევარი რიუმკა (პატარა ჭიქა) პურის კვასი მოითხოვა, ჩაყარა შიგ რაღაც ფხვნილი და მიაწოდა ავათ-მყოფს, რომელმაო სიბრაზით გადააგდო რიუმკა. საზარელი სანახავი იყო ამ დროს ავათ-მყოფი: სახეს საძაგლად გრეხდა, თვალები სისხლით ჰქონდა ავსებული, თმები ებუძგებოდა, ზუოდა და ჰყვიროდა, ნურავინ მოდიხართო. მაშინ მკითხავმა სვილას (ჭვავის) პურის ნაჭერი, მოაცალა კანი და მარტო გული შეურია ერთ რიგ ფხვნილს და მისცა გადასაყლაპავათ ავით-მყოფს, რომელმაც კიდეც გადაყლაპა იგი. ამ წამლის სამჯერ მიღების შემდეგ ავათ-მყოფი მორჩა.

ეს სასწაულით მომქმედი ფხვნილი ყოფილიყო დაფშვნეტილი ძირი რძიანასი (რძია-რძიასი **Молочайникъ** *Euphorbia peplus L.*) ეს ძირი უნდა გახმეს ბუხრის ნელს სითბოში, შემდეგ დაიფშვნიტოს ფხვნილად ჩვეულებრივს საფშვნეტელზე და ბან-

კაში შეინახოს. მისი ხმარება ასე უნდა:

დაკბენილ კაცს უნდა მიეცეს (სამი თითით) ნახევარი რუმკა პურის კვასი ან და ცოტა ძმარით შერეული წყალი. წამლის პირველად მიღების შემდეგ, იმ დღესვე, თუ ავათ-მყოფმა იგრძნო ხან ნელი გაცივება და ხან ნელი სიცხე, მთელი სხეულის სისუსტე, თავბრუ, გულის რევა, და ამასთანავე ოფლიც,—ავად-მყოფი მორჩენილია. თუ წამლის პირველ მიღებამ არ იმოქმედა, ექვსი საათის შემდეგ ხელ-ახლავ უნდა მისცეთ ის ავათ-მყოფს, და მეორე დღეს კიდევ მიეცით, სანამ რამე შეჭამდეს დაკბენილი. წყლული უნდა გაბანოთ იმავე ძირის ნახარშის მაგარი წვენით.

წერილის ავტორის სიტყვით, რაც ერთხელ უმტყუნებია მისთვის ამ წამალს, თუმცა ოცი წელიწადია რაც მას ხმარობს.


# განცხადებანი

—

### დაიკარგა ძაღლი

სახელად „თურაჯ“ ნიშნები: ხუთი თვის ლეკვი, მოდგმით ჰოლლანდიის პონტერი, მიხაკის ფერი, ფეხებზე თეთრი წინწკლები.

ვინც ნახავს და „დროების“ რედაქციაში მოიყვანს, ჯეროვან ჯილდოს მიიღებს.

(3—2)

**Ѣдущій въ г. Нахичеванъ** по казенной подорожной **ищетъ** себѣ **попутчика.**

Спросить въ Экзаршескомъ домѣ.

(2—2)

**ახალგაზდა კაცი, მცოდნე ორ-ზომა-იტალიანური ბუხგალტერიისა** მსურველია იმეცადინოს სადილს შემდეგ საკუთარს კანტორაშიაცა; ამასთანავე აძლევს გაკვეთილებს, როგორც ბუხგალტერიის ნაწილისა ისე ყოველივე საგნებში პროგიმნაზიის კურსისა.

იკითხოს: 5 უჩასტკაში სურპინშნის საკუთარ სახლებში, № 17-ში **იაკობ ტერ-აკოფოვი.**

5 2

პატივი მაქვს თფილისის პატივცემულ საზოგადოებასა და განსაკუთრებულ ნამდვილ თათრულ თამბაქოს მოყვარეებს ვაცნობო, რომ ამ თვეში მე მივიღე ოსმალეთიდამ ჩემი თამბაქოს ფაბრიკისათვის საუკეთესო და უმაღლესი ხარისხის თამბაქო მნიჯისა, ქეობეკისა, ფერჯანისა, ბასმისა, ხრმისა, ბაფრასი და სამსონისა. ამ ზემოხსენებულ ექვსის ჯურის თამბაქოსაგან გაკეთებული და დამზადებული თამბაქო გირვანქა ეღირება 4, 5, 6, 8, 10, და 12 მან.; 1 გირვანქა სამსონის თამბაქო გაიყიდება 3, 4 და 5 მანეთად.

მსურველს მომართოს ჩემს თამბაქოს მაღაზიაში სასახლის ქუჩაზე ერწრუნის ქარვასლაში, № 1.

ქალაქს გარეშე მცხოვრებნი პირ-და-პირ ჩემს სახელობაზედ გამოგზავნიან წერილსა და თან ხვედრ ფულს დაბარებული თამბაქო პირველის ფოჩტითვე გაეგზავნება მომთხოვნელს.

თამბაქოს ფაბრიკანტი
**ნ. ბოზარჯიანცი.**

3 3

**ბუხტაპ კაპპენის** მაშინების მაღაზიაში



მოსკოვში, მიასნიცკის ქუჩისა და ლიუბიანი მეიდნის კუთხეში

მიიპოება შემდეგი მაშინები:

ორთქლის მაშინები 3—25 ცხენის ძალისა.

სალესავი მაშინები 28 ფუტამდინ სიგრძით.

საბურღავი მაშინები.

საშალაშინებელი მაშინა.

მონომეტრები, კრანები, არმატურა.

ათეულის (დესიატიჩნია) სასწორი.

ინგლისის ქამრის ტყავები.

რკინის ტრუბები (მილები) და სხვ. და სხვ.

აქვე ჰკისრულობენ სხვა-და-სხვა ქარხნების გამართვას.

პრეისკურანტი (ფასების სია) მსურველს მოთხოვნისათანავე გაეგზავნება.

4—3

### მთავარი კანტორა დანდოზით ამხანაგობისა

## „იაგორ ქასუ-მოვი და ამხ.“

ერევნის მოედანი გ. ჯაყელის სახლი.

ჰიდულობს და ჰყიდის ყოველ ნაირ სარგებლიან ქაღალდებს; იძლევა სესხს სარგებლიან ქაღალდების და 5% მოგებითი სესხის ბილეთების გირაოთი ერთიდამ 12 თვემდე. სესხის გადახდა შეიძლება ერთად ანუ თვე-და-თვე გადახდით.

სხვა ბანკებში დაგირავებულნი % ქაღალდები შეიძლება კანტორამ გამოიყიდოს და თვითონვე დაიგირაოს სესხის მომატებით.

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებ მოვალეთა შეუძლიათ % ქაღალდები ფოშტით გამოგზავნონ კანტორის სახელობაზედ, და კანტორა დაუყოვნებლივ გაუგზავნის მათ ნაუწყ ადრესით ფულებს და ვასხებითი ხელშეკრულობას.

კანტორა იღებს ფულებს, რომელზედაც იძლევა, პირობათა გამოცლამდე:

| | | |
|---|---|---|
| 1) შემონახულებათა ანგარიშებისამებრ და მოთხოვნილებამდე — — | 4½ % | წლიური |
| საპირობო ანგარიშისასამებრ — — — | 5 — | |
| 2) 6 თვით ვადით შემოტანილ ფულზე — | 5½ — | |
| 12) თვის — — — | 7 — | |
| ერთი წლის მეტით — | 8 — | |
| 3) საგანგებო პირობებით შემოტანილ ფულზე ამხანაგობის 1 ხარისხის პაის პატრონთა. — | 9 — | |

შემოტანილ ფულების % ანგარიში წელიწადში ორჯელ მოხდება, სახელდობრ: 30 ნოემბერს და 31 მაისს; ვადით შემოტანილ ფულებზე კი, შემომტანთ სურვილისამებრ, შეიძლება % თავიდამვე გადახდილ იქმან.

კანტორაში შეტანილი ფულის თანხა, თუ შემომტანის სურვილი იქნება, ვადის გასვლამდინაც შეიძლება დაბრუნებულ იქმნას: მოთხოვნისა 10 დღის შემდეგ, სარგებლის გამოთვლით წლიური 5 % ზომით, იმაზე უფრო ბევრი რასაც კანტორა იძლევა შემოტანისთანავე,

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებთ ფულის შემომტანლებს, რომელთაც შესანახავად ფულის შემოტანა სურთ, შეუძლიათ ისინი ფოჩტით გამოგზავნონ და იმათ იმწამსვე გაევზავნებათ სათანადო მოწმობა.

ამხანაგობაში მყოფ პირებს, ვექსილებით სესხების მიცემის დროს, ცნობილ პირთა თავდებით, კანტორა ახდევინებს:

| | |
|---|---|
| თვე-და-თვე გადასახად სესხზედ — — — — | 10 % |
| კვირაში ერთხელ — | 9 — |

ვადამდე გადუხდელობით სესხი მიეცემა ფირმასთან საგანგებოდ შეთანხმებით.

ჰიდის მოგებიან 5 % ბილეთს ორივე სესხისას, შემოსატან გადასახადის დროებით; ამასთანავე ბილეთის მყიდველს და ხვედრი ფულის ამ რიგად გადამხდელს, მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც შეიძლება ერთი წლის განმაელობაში ხვდეს იმ 20 ნომრებს, რომელიც მოხსენებულია მოწმობაში, ოთხს ტირაჟში.

იღებს შეკვეთას ოდესის ექვს სხვა-და-სხვა ნაირ მშვენიერ თვისების ხარისხის ფქვილზე, ხორბალზე, ქერზე, დიკაზე და სხვ. და სხვ. ზომიერ ფასებით. ამ სანოვაგეთა ნიმუშების ნახვა შეიძლება მთავარ კანტორაში.

სრული და დაწვრილებითი ცნობანი და ახსნა საქმისა, მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე დილის 9—დამ 2—მდე; დღესასწაულობით და კვირაობით დილის 8—დამ 10 საათამდე.

(10—3)

### შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს.

(100—65)

## ვილებ

### ეკკლესიის კანკელს

ყველა მოწყობილებით და სახლის მოწყობილების ჩუქურთმას მოსაჭრელად.

ჩემი ქარხანა იმყოფება საპიორნის ქუჩაზედ, ბირძენოვის სახლში, № 18

კანკელისა და მებელის ჩუქურთმის მჭრელი

**დავით ივანეს-ძე გიგაური.**

(10—9)

### თფილისის მაზრის მარშლისაგან

მთავრობის ნება-დართვით, მომავალს **ნოემბრის ორსა იქმნება ტფილისში უეზდის თავად-აზნაურთ შეკრებილება, მოსაპოებლად იმ ღონის-ძიებისა, რომლითაც აღიზ-დებოდნენ ჩვენი შვილები.** —

ამისათვის განუცხადებ ტფილისის უეზდის თავად-აზნაურთ და უმორჩილესად ვსთხოვთ მობრძანდნენ ორს მომავალს ნოემბრისას, თორმეტ საათზედ დილით, ტფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკში, სადაც იქნება შეკრებილება.

ტფილისის უეზდის კეთილ შობილთ წინამძღოლი ლ. მაღალოვი.

(6—5)

### პატენტიანი შჩოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—76)

**ინგლისის მაღაზიაში მიღებულია შეკოლადი და კაკაო ფრაი.**

(20—16)


Дозволено цензурою. Тифлисъ 27 Октября 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.